

ინფლაციური პროცესების თავისებურება და

მისი დაძლევის გზები საქართველოში

მარინა ბალათურია, პროფესორი

რეზიუმე

ინფლაციის ტემპის მკვეთრი ამაღლება, მისი ხშირი ცვლილებები, უარყოფითად აისახება პროდუქციის რეალური გამოშვების მოცულობაზე, რაც გამოწვეულია ძველი, ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების რღვევითა და მთელი რიგი ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯების წარმოშობით. ამიტომ ინფლაციის ტემპის შემცირება, კონკრეტული ეკონომიკური ვითარების შესაბამისად, ოპტიმალურ დონეზე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ ძირითად პირობას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ინფლაციის ტემპის ცვლილების რეგულირებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური აღორძინება, ინფლაციის ტემპი, მონეტარული პოლიტიკა

Economic development, The sharp increase,
Monetary Policy

Summary

The sharp increase in inflation rate, its frequent changes, impacts negatively on the production capacity of the real issue. It is caused by dissolution of old established economic relations and a number of new type of socio-economic originally expenses. Therefore a reduction in the rate of inflation, accordingly the specific economic circumstances, on the optimal levels performs one of the basic condition for Country's economic development. The special emphasis is given for changes in regulation of the rate of inflation for our country's economic revival.

* * * * *

ინფლაცია საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. მსოფლიოში არ მოიძებნება არც ერთი ქვეყანა, რომელიც პეიოდულად არ ეჯახებოდეს ინფლაციურ პროცესებს. ის ეკოლოგიური საფრთხის მსგავსად კატაკლიზმებით და კატასტროფებით ემუქრება არა მარტო ცალკეული ქვეყნების საფინანსო - ეკონომიკურ და სოციალურ - პოლიტიკურ ორგანიზმებს, არამედ მთელ მსოფლიოს. აქედან გამომდინარე მის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ფასების საერთო დონის ზრდის შეფასება ხდება რამდენიმე ინდექსის საშუალებით, რომელთაგან ძირითადია სამომხმარებლო (საცალო) ფასების ინდექსი და მწარმოებელთა (საბითუმო) ფასების ინდექ-

სი. ინფლაციის ტემპის გაზომვა სრულად შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში ეეპ-ს დეფლატორის ზრდის ტემპის მეშვეობით და აგრეთვე მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების დონეზე სამომხმარებლო ფასების საშუალო დონის ზრდის ტემპით. ინფლაციის იდეალური საზომი იქნებოდა ყველა საქონლის ფასის დინამიკის თვითონ თვემდე შესწავლა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ინფლაციის გასაზომად აკვირდებიან იმ გარკვეული ჯგუფების სასაქონლო ფასებს, რომლებიც ყველაზე ფართო მოხმარების საქონელს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოყენებული ინდექსია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც კონკრეტული ქვეყნისთვის განსაზღვრული სტანდარტის მიხედვით ასახავს შინამეურნეობის მიერ სტანდარტული მოცულობითა და სიხშირით მოხმარებული საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულების ზრდას ფულად გამოხატულებაში საბაზო პერიოდთან შედარებით. ამ ინდექსის მრავალი დადებითი თვისების მიუხედავად მან შეიძლება ინფლაციის გრძელვადიანი კომპონენტის დამახინჯებული სურათი აჩვენოს.

ინფლაციის დონის პროგნოზირება საკმაოდ რთული და მრავალნახნაგოვანი პრობლემაა. ინფლაციის პროგნოზირების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დადგინდეს დროითი კავშირი ინფლაციასა და მის ფაქტორებს შორის, რითაც შესაძლებელი გახდება ინფლაციური პროცესების მართვა. მოქმედ ფაქტორებსა და ინფლაციას შორის არსებობს შუალედი, ანუ, მყისიერად არ იწყება ინფლაცია. ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ინფლაციის პროგნოზირების ისეთი მეთოდოლოგია და მეთოდიკა, რომელიც მისაღები იქნება ნებისმიერი ქვეყნისთვის. ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი. ერთი რომელიმე ქვეყნისთვის მისაღები მეთოდიკა შეიძლება არ აღმოჩნდეს გამოსადეგი სხვისთვის. მონეტარული პოლიტიკის სწორად გასატარებლად სფი-თან ერთად აუცილებელია საბაზო ინფლაციის ინდექსის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ქვეყანაში რეალური მოთხოვნა-მიწოდებით განპირობებული ფასების ცვლილების დინამიკას, რომელიც ფასების დროებითი ფაქტორების ზეგავლენით გამოწვეული რყევებით არ არის დეფორმირებული.

საქართველოში ისევე, როგორც მრავალი სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, არაინფლაციური ხასიათის ფასების მერყეობა ხშირია, ამიტომ საბაზო ფასების ინდექსს შეუძლია ინფლაციის გრძელვადიანი დინამიკა უფრო ზუსტად ასახოს.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია საბაზო ინფლაციის ინდექსისა და ინფლაციის სხვა ინდექსების ერთობლიობაში განხილვა. თუ საბაზო ინფლაცია უჩვენებს ფასების ზრდის ტენდენციას, საჭირო იქნება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. ასეთ დროს სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ცალკეული კომპონენტების ფასების მერყეობის გამო, შეიძლება უჩვენებდეს ფასების სტაბილურობას, ზრდას ან კლებასაც კი.

თუ სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მიუთითებს ფასების ზრდის ტენდენციაზე, ხოლო საბაზო ინფლაციის ინდექსი ფასების სტაბილურობას უჩვენებს, მაშინ შესასწავლია სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ზრდის მიზეზი. თუ ის გამოწვეულია ცალკეული კომპონენტების ფასების ისეთი დროებითი ან ერთჯერადი ცვლილებით, რომელიც არ ახდენს გავლენას ინფლაციურ მოლოდინსა ან წარმოების ფაქტორთა გაძვირებაზე, მაშინ სამომხმარებლო ფასების ინფლაციის შესამცირებლად მონეტარული ხელისუფლების ჩარევა არ არის საჭირო. თუ ცალკეული კომპონენტის ფასების ზრდა დროებითი, მაგრამ მაღალია, მაშინ ამან შეიძლება გამოიწვიოს დროებით ფულზე მოთხოვნის ზრდა. თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაშინ დროებითი ფასების ზრდა შენარჩუნდება და ადგილი ექნება ინფლაციას. თუ სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ზრდა გამოწვეულია ისეთი საქონლის ფასების თუნდაც დროებით ცვლილებით, რომელიც იწვევს ინფლაციური მოლოდინის ზრდას ან აძვირებს წარმოებულ პროდუქციას, მაშინ მონეტარული პოლიტიკა უფრო უნდა გამკაცრდეს, რათა ამ მოვლენამ არ წარმოშვას ინფლაციური პროცესები. ინფლაციის შემცირების ერთ-ერთი გზაა მონეტარული პოლიტიკის გამჭვირვალობა და ეროვნული ბანკის მყარი პოზიცია ზომიერი ინფლაციის შესანარჩუნებლად.

იმისდა მიხედვით, როგორია ინფლაციის სიმძლავრე და მასშტაბები, როგორია ეროვნული ვალუტის გაუფასურების ხარისხი და ტემპები, ქვეყნის ინფლაციური დაავადების დონე, გამოიყენება ინფლაციასთან ბრძოლის და მისი დაძლევის სხვადასხვა მეთოდები: რესტრუქტურა, დეფლაცია, დევალვაცია (აშკარა და ფარული), რევალვაცია, ნულიფიკაცია. ყოველი მეთოდის გატარება მოითხოვს დაკვირვებულ, აუჩქარებელ და პროფესიულ მიდგომას.

მსოფლიო პრაქტიკაში ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარების მრავალი ხერხი და საშუალებაა, რომლებმაც პრაქტიკაში ძალიან ეფექტიანი გამოყენება ჰპოვეს. ამიტომ საქართველოსთვის ბევრად უფრო მომგებიანი და დადებითი ეფექტის მომტნი იქნება თუ ფისკალური (საბიუჯეტო საგადასახადო) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება არა ცალსახად, არამედ ერთმანეთთან შერწყმითა და მნიშვნელოვან კავშირში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა შეფასდეს, როგორც ზომიერად

მკაცრი. ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა მეცნიერულად არგუმენტირებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა საბანკო სისტემის უფრო მაღალ დონეზე ასვლა. შეიქმნა ახალი პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა, ერთის მხრივ, კომერციულ ბანკებზე მონიტორინგის განხორციელება, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის გათვალისწინებით, საბანკო სისტემის რესტრუქტურირაცია. მიზანშეწონილია ინფლაციის კრიტიკული დონის განსაზღვრა და დადგენა (მაგ. საქართველოსთვის ის არ უნდა აღემატებოდეს 7-8 %-ს წელიწადში), რომლის გადაჭარბებასაც უკვე თან უნდა ახლდეს ანტი-ინფლაციური პოლიტიკის გამკაცრება.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკადრო პოლიტიკას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფინანსურ სამსახურებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ პროფესიონალები, განათლებული ფინანსისტები, ხელმძღვანელ პოსტებზე უნდა იყვნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც იქნებიან მოცემული დარგის კარგი სპეციალისტები, დიდი გამოცდილების და სათანადო ორგანიზატორული თვისების მქონე პრინციპული ადამიანები. ნამდვილი ფინანსისტი ფართო გაგებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს კერძო ინტერესებით, ის უნდა მოქმედებდეს ფულის მიმოქცევის, საფინანსო, საკრედიტო ურთიერთობების განმსაზღვრელი კანონების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებშიც ღრმად უნდა იყოს ჩახედული და უნდა ესმოდეს, რომ მათი დარღვევა უმძიმეს შედეგს მოუტანს სანარმოოს, დარგს, ხალხს, მთელ ქვეყანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ, საით მიდის საქართველო? , სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი გამომცემლობა „სიახლე“ თბ. 2014
2. ხურცილავა ნ. , „ინფლაციის დანახარჯები და დაძლევის მეთოდები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2010 წ.
3. http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/price/CPI%20Press%20Release_05%202015_Geo.pdf